

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ვეფხვია გრიგალაშვილი

**ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციის პრობლემატიკა
ეროვნული უსაფრთხოების მართვაში**

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი გენადი იაშვილი

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება 2020 წლის ----- თებერვალს, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების,
საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო
საბჭოს სხდომაზე,

კორპუსი -----, აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/ლელა კოჭლამაზაშვილი/

Abstract

The dissertation - "Hybrid War Conceptualization Issues in the National Security Governance" studies theoretical and practical aspects of hybrid war phenomenon, the conceptualization peculiarities of it within Georgian national security management and develops political-strategic characteristics of the hybrid warfare to facilitate a unified government approach to the hybrid war.

While hybrid warfare is considered as significant threat to Georgia's national security and as existing reality, there is high degree of shortage of unified government approach in the national policy planning decisions of state agencies involved in national security management due to the lack of common vision of the concept of hybrid warfare.

An analysis of the changing security environment shows that individual states interested in changing the balance of the world order are always trying to develop new forms / methods of achieving political goals. Against the backdrop of global - strategic instability, such a process of pushing for innovation has produced a complex phenomenon in recent decades - a hybrid war that differs from traditional war forms.

Hybrid war offers new ways to achieve political goals for revisionist forces interested in changing world order which is a critically important and continuous challenge for national security agencies, for security policy-makers, and for security experts, especially under the circumstances (blurring of the lines between war and peace, the rapidly evolving technologies, and changing information space) which creates positive conditions for the evolution of hybrid warfare.

Hybrid warfare poses a significant challenge to government entities involved in state security management, specifically in defense policy planning, in that it integrates and uses the conventionally and unconventional tools / methods of warfare in a complex way. The strategic impatience feature makes the hybrid war a well-adapted and effective tool of coercion.

That is why a scientific in-depth understanding of the concept of hybrid warfare is critically important for Georgia so that government institutions, officials involved in security policy planning and enforcement, can properly assess the security environment in relation to hybrid warfare forming a unified government approach to hybrid warfare, identifying hybrid threats, taking preventive measures to neutralize and/or to mitigate hybrid threats, and generally developing and implementing a hybrid defense strategy.

In order to formulate a unified government approach to hybrid warfare, to develop a conceptual framework for the political-strategic characteristics of hybrid warfare the study has been conducted in three directions in following chapters.

The first Chapter of the thesis - "Theoretical Model of Hybrid Warfare" discusses the concept of hybrid warfare (Definitive framework of hybrid warfare; idea and methodology of hybrid warfare; Prototypes of hybrid warfare) as well as theoretical approaches to its origin (hybrid warfare in the context of interstate theories; theories of war);

Chapter II - "Geostrategic Context of Hybrid Warfare"- the research focuses on the hybrid war dimension through analyzing and investigating security policy documents of the Russian Federation, the United States, the United Kingdom, Israel, Japan, the North Atlantic Treaty Organization, the European Union;

The third chapter - "Hybrid Warfare as a Challenge to Georgia's National Security," examines the institutionalization-conceptualization of hybrid warfare in Georgia's security management - policy planning documents, as well as an analysis of the practical realization of Russia's hybrid war strategy in Georgia.

Based on analyses of the various political and scientific approaches to the

phenomenon of hybrid warfare the thesis formulates a consolidated definition and formulates a comprehensive structure of the hybrid warfare.

Hybrid war is the joint and synchronised use, by state or non-state actors, of all available tools/methods, including conventional or non-conventional, legal or illegal methods and instruments, against predetermined weaknesses of a target country, to achieve the desired political goals.

Research results are considered in the abstract and thesis.

Readers have free access to the above-mentioned abstract and thesis, which are kept in the Technical University Library.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება:

საკვლევი თემის აქტუალურობა. თანამედროვე ცვალებად უსაფრთხოების გარემოში, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ ეროვნული უსაფრთხოების მართვის ეფექტურობას, სხვა არაერთ ფაქტორთან ერთად, არსებითად განაპირობებს მის მართვაში ჩაბმული სახელმწიფო ინსტიტუტების ერთიან სამთავრობო მიდგომაზე დაფუძნებული ამა თუ იმ საფრთხისადმი ერთგვაროვანი კონცეფტუალური ხედვის არსებობა, მათი შესაძლებლობა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ყოველმხრივ მოახდინონ საფრთხეების ადრეულ სტადიაზე იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება, სწორად დასახონ მათი თავიდან აცილებისა და აღკვეთისკენ მიმართული მმართველობითი ამოცანები.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოჩნდა საფრთხე, სამხედრო სტრატეგია - ჰიბრიდული ომის ფართომასშტაბიანი კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან, განგრძობადი ხასიათის გამოწვევას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა-დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სუბიექტებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ჰიბრიდული ომი მიჩნეულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად და მდგომარეობად, რომელშიც ქვეყანა იმყოფება, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის, აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაში ჩაბმული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მმართველობით გადაწყვეტილებებში შეინიშნება ჰიბრიდული ომის ინსტიტუციონა-

ლიზაციის და მისი კონცეფციისადმი ერთიანი სამთავრობო მიდგომისა და ერთგვაროვანი ხედვის დეფიციტი, ზოგადად, ჰიბრიდული ომის ფენომენის კონცეფტუალიზაციის პრობლემატიკა, რაც არსებითად აბრკოლებს უსაფრთხოების გარემოს, ეროვნულ უსაფრთხოებაზე უარყოფითი შედეგის მომტანი მოვლენების / ქმედებების ჰიბრიდულ საფრთხედ დაიდენტიფიცირებას, ჰიბრიდული თავდაცვის სტრატეგიის შემუშავებას, არსებული მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას.

ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში არსებულ ნაკლოვანებას კომპლექსურად განაპირობებს არაერთი ფაქტორი. თუმცა ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციასთან მიმართებაში ერთიან სამთავრობო მიდგომაზე დაფუძნებული ერთგვაროვანი ხედვის შეუმუშავებლობა მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს ჰიბრიდული ომის მეცნიერულად დამუშავებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მახასიათებლების კონცეფტუალური ჩარჩოს არქონის შედეგს, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაში ჩაბმული სახელისუფლებო ინსტიტუტებისთვის შეასრულებდა მეთოდური სახელმძღვანელოს ფუნქციას.

კვლევის ობიექტი. ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში ჩაბმული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მმართველობითი გადაწყვეტილებები.

კვლევის მიზანი. კვლევა ეფუძნება რა მეცნიერულ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც ჰიბრიდული ომი წარმოადგენს თანამედროვე კონფლიქტის ფორმასა და მისი წარმოების სამხედრო სტრატეგიას, კვლევის მიზნად დასახულია ჰიბრიდული ომის მეცნიერულად დამუშავებული პოლიტიკურ-სტრატეგიული კონცეფტუალური ჩარჩოს შემუშავება.

კვლევის ამოცანები. კვლევის მიზნის მისაღწევად, დასახული და გადაწყვეტილი ამოცანები:

1. კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის ჩამოყალიბება, ჰიბრიდული ომის კონცეფციასთან დაკავშირებული ეროვნული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის თუ პოლიტიკურ-ნორმატიული დოკუმენტაციის შესწავლა-გაანალიზება;

2. ჰიბრიდული ომის არსის გაანალიზება, მისი კონცეფციის თეორიული საფუძვლების შესწავლა, აგრეთვე ჰიბრიდული ომის განზოგადებული თეორიული მოდელის შემუშავება ჰიბრიდული ომთან დაკავშირებით არსებული თეორიული მიდგომების კონსოლიდირებით;

3. რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს, ისრაელის, იაპონიის, ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისა და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებზე დაყრდნობით ჰიბრიდული ომის გეოსტრატეგიული კონტექსტის დადგენა;

4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაში ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციის მდგომარეობის, აგრეთვე გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების შესწავლა-გაანალიზება;

5. საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთის ჰიბრიდული ომის პრაქტიკული ასპექტების შესწავლა-გაანალიზება;

6. კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების შემუშავება, აგრეთვე სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შეთავაზება.

თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის იმ მეცნიერთა შეხედულებები, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინეს ჰიბრიდული ომის თეორიული მიდგომების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე სხვა შრომები ჩვენს მიერ დასმულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგების სანდოობა ეფუძნება პოლიტიკურ-ნორმატიული ხასიათის ოფიციალური დოკუმენტების, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევების ანალიზს.

კვლევის მიზნისა და ამოცანების სპეციფიურობის გათვალისწინებით, კვლევის მეთოდოლოგია კომბინირებულია, რაც სისტემურად აერთიანებს საყოველთაოდ მიღებულ კვლევის მეთოდებს. ამასთან, უპირატესობა მიენიჭა ინდუქციურ მეთოდს ზოგადი დასკვნების გამოტანის მიზნით.

კვლევის საფუძველზე, ნაშრომში წარმოდგენილია **მეცნიერული სიახლის მქონე შედეგები:**

1. დადგენილია ჰიბრიდული ომის პოლიტიკურ-სტრატეგიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც ჰიბრიდული ომი ეს არის ფართომასშტაბიანი ომის ზღურბლსა და სახელმწიფოთა შორის ჩვეული მშვიდობიანი კონკურენციის დიაპაზონში მოქმედი კონფლიქტის ფორმა და მისი წარმოების სამხედრო სტრატეგია;

2. შემუშავებულია ჰიბრიდული ომის განზოგადებული თეორიული მოდელი - განსაზღვრულია და შემოთავაზებულია ჰიბრიდული ომის მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკურ-სტრატეგიული ხასიათის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა ქმნის ჰიბრიდული ომის კონცეფტუალურ ჩარჩოს;

3. დადგენილია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციაში არსებული პრობლემის კონკრეტული შინაარსი და მისი გამომწვევი მიზეზები;

4. შემოთავაზებულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის არსებული მოდელის გაუმჯობესების ხელშემწყობი რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევის იდეის, აგრეთვე პოლიტიკის დაგეგმვაში კოორდინირებულობის, გეგმიურობის, უწყვეტობის და ერთიანი სამთავრობო მიდგომის პრინციპების რეალიზებას.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. ჰიბრიდული ომის ფენომენის მეცნიერული კვლევა ღირებულია ქვეყნის უსაფრთხოების მართვისა და მისი პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რადგან მიღებული დასკვნები და შემუშავებული რეკომენდაციები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში მონაწილე სახელმწიფო ინსტიტუტებს, ერთიან სამთავრობო მიდგომის პრინციპზე დაყრდნობით, აღმოფხვრან ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციიდან მომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანება და შეიმუშაონ ჰიბრიდული თავდაცვის ეფექტური სტრატეგია.

კვლევა ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რაც

პირდაპირ პროპორციულად შეამცირებს ჰიბრიდული ომის მწარმოებელი აქტორების მიზნების რეალიზების ხარისხს.

ნაშრომის მოცულობა, სტრუქტურა და ძირითადი შინაარსი:
მოცემული დისერტაცია მოიცავს 128 გვერდს. ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია 215 ერთეული.

ნაშრომის სტრუქტურა და ძირითადი შინაარსი შემდეგია:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. ჰიბრიდული ომის თეორიული მოდელი

1.1 ჰიბრიდული ომის კონცეფცია

1.2 ჰიბრიდული ომის აღმოცენების თეორიული საფუძვლები

თავი II. ჰიბრიდული ომი თანამედროვე გეოპოლიტიკურ გარემოში

2.1 ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაცია რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებში

2.2 ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს, ისრაელის, იაპონიის, ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის, ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებში

თავი III. ჰიბრიდული ომი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევა

3.1 ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციის პრობლემატიკა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაში

3.2 საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსული ჰიბრიდული ომი

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა და მოცემულია პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, დასახულია კვლევის მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი და მეთოდები. წარმოდგენილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ, ზოგადად, ჰიბრი-

დული ომის კონცეფციის შესწავლას მიძღვნილი აქვს მთელი რიგი, ძირითადად, საზღვარგარეთული სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევები. მიუხედავად ამისა, ჰიბრიდული ომის ფენომენი ჯერაც არ არის სრულყოფილად შესწავლილი და მიუღწეველია კონსენსუსი ჰიბრიდული ომის ერთგვაროვან კონცეფტუალურ ხედვაზე. დისერტაციაში წარმოდგენილია ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერების იმ ნაშრომების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც თანამედროვე პირობებში ქმნიან ჰიბრიდული ომის კვლევის ძირითად სამეცნიერო-თეორიულ ბაზას.

პირველ თავში – „ჰიბრიდული ომის თეორიული მოდელი“ განხილულია ჰიბრიდული ომის კონცეფცია, მისი აღმოცენების თეორიული საფუძვლები, შემუშავებულია ჰიბრიდული ომის ერთგვაროვანი ხედვა ჰიბრიდული ომის ფენომენტთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორიული მიდგომის კონსოლიდირებით.

გამოიკვეთა, რომ ჰიბრიდული ომი წარმოადგენს არამარტო სახელმწიფოთა ზოგად პოლიტიკურ იდეოლოგიაში თანამედროვე კონფლიქტის თავისებურებების გამომხატველ პოლიტიკურ ტერმინს, არამედ მოვლენას, რომელსაც მკვლევართა ერთი ჯგუფი მიიჩნევს ომის წარმოების ახალ მეთოდოლოგიად, მეორე ჯგუფი ჰიბრიდულ ომს განიხილავს, როგორც ომის ახალ ფორმად / ტიპად. ზოგიერთი მეცნიერის, თუ სამხედრო სტრატეგის მოსაზრებით კი, ჰიბრიდული ომი არ მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომას, რადგან ემორჩილება სრული სპექტრის ოპერაციების დოქტრინას.

ცალკეული სახელმწიფოები თუ არასახელმწიფო აქტორები შეიმუშავენ ახალ შესაძლებლობებს, რომლებიც, არსებული საერთაშორისო ნორმების გვერდის ავლით, მათ აძლევთ საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზების, კონფლიქტების წარმოების, შესაძლებლობას. სწორედ, ამგვარი ძიების შედეგს უკავშირდება ჰიბრიდული ომის წარმოშობა და განვითარება.

ჰიბრიდული ომის მომხმარებელ აქტორებს, ჩვეულებრივ, განეკუთვნებიან რევიზიონისტული მიზნების მქონე სახელმწიფოები, თუმცა ჰიბრიდული ომის კონცეფციის თავისებურებების გათვალისწინებით, არ გამოირიცხება არასახელმწიფო აქტორების მიერ ჰიბრიდული ომის სტრატეგიის

გამოყენების დასაშვებობა, ისევე როგორც ჰიბრიდული ომის მეთოდოლოგია იძლევა მისი წარმოების შესაძლებლობას ამ სტრატეგიის მომხმარებელი აქტორის ტერიტორიიდან დისტანცირებული სახელმწიფოს წინააღმდეგაც.

ჰიბრიდული ომი, რამდენადაც მისი მიზანი ღია ომის თავიდან აცილებაა, განეკუთვნება კონფლიქტის იმგვარ ფორმას და სამხედრო სტრატეგიას, რომელიც საერთაშორისო სისტემის წევრებისგან არ მოითხოვს ტრადიციულ ომში ჩართვას, არამედ მის მწარმოებელ აქტორებს აძლევს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებას ფორმალური მშვიდობიანობის პირობებში. ამ შემთხვევაში პოლიტიკური თუ სამხედრო კონფრონტაცია განთავსებულია კონვენციური ომის ქვედა დონეზე და სახელმწიფოთა შორის ჩვეული, მშვიდობიანი კონკურენციის ზღვარს ზემოთ.

თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებაში ჰიბრიდული ომი მიიჩნევა დაბალი დონის კონფლიქტის ფორმად, მისი მიზანია, დარჩეს ფართომასშტაბიანი ომის ზღურბლთან. თუმცა, შედარებით მცირემასშტაბიანი კონვენციური ომი ჰიბრიდული ომის კონცეფციიდან არ გამოირიცხება, რომელიც შეზღუდული ომის ინტენსივობით ხასიათდება.

ჰიბრიდული ომი ემყარება სტრატეგიულ ლოგიკას, რაც ჰიბრიდულ ომს სძენს გეოსტრატეგიული ინსტრუმენტის კონტექსტს. იგი წარმოადგენს რბილი და ხისტი ძალის კონსოლიდირებით მიღებულ ჰიბრიდულ ძალას.

ჰიბრიდული ომი მიიჩნევა ბრძოლას კონვენციური და არაკონვენციური მეთოდოლოგიით წარმოების გამაერთიანებელ სტრატეგიად, რომელთა ერთობლიობა ქმნის წინასწარვე განზრახულ კომპლექსურობას, რომლის თითოეული კომპონენტის განზომილება იმდენად ფართოა, რომ მის მომხმარებელ აქტორებს მის საწარმოებლად ეძლევათ ინსტრუმენტებისა და მეთოდების მულტიკომბინირებულად გამოყენების შესაძლებლობა.

ძალის, თუ იძულების სხვა ფორმების კომპლექსურად გამოყენება თავისთანად სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა ამგვარი კომბინაციის შემადგენელი კომპონენტების ურთიერთმიმართება, მათი სწრაფი ტრანსფორმირების უნარი ტექნოლოგიური განვითარებით განპირობებულ სიახლედ მიიჩნევა - ტექნოლოგიურმა პროგრესმა გარდაქმნა ომის ხელოვნება,

რომელმაც მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ომის მეთოდოლოგიის ტრანსფორმაციაში, თუმცა ამგვარი პროგრესი არასამარისი აღმოჩნდა თავად ომის ბუნების შეცვლის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული კონფლიქტის წარმოებისთვის არაერთი ძირითადი თუ თანმხლები ინსტრუმენტი და მეთოდი იქნა დაიდენტიფიცირებული სხვადასხვა კვლევის ფარგლებში, ამ ეტაპად არ არსებობს ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების და მეთოდების ფიქსირებული ერთიანობა. ჰიბრიდული ომი განიხილება შესაძლებლობების ფართო სპექტრად, რომლის მიღმა გამოხატულ იდეაში იგულისხმება, რომ არ არსებოს იმ შესაძლებლობების ზღვარი, რომლებსაც აქტორი იყენებს კონფლიქტის ჰიბრიდულ საზღვრებში შესანარჩუნებლად. ჰიბრიდული ომი არათუ არ გამორიცხავს ბრძოლის არაკონვენციური მეთოდებით წარმართვის შესაძლებლობას, არამედ, ეს უკანასკნელი ჰიბრიდული ომის მწარმოებელს აღჭურავს ასიმეტრიული უპირატესობით. ვითარების შესაბამისად, ჰიბრიდული ომი შესაძლებელია პროპორციულად უფრო მეტ ხისტ ძალას ანდა კონვენციურ კომპონენტს მოიცავდეს, ვიდრე რბილ ძალას ანდა არაკონვენციურს, ანდა პირიქით.

მეორე თავში - „ჰიბრიდული ომის გეოსტრატეგიული კონტექსტი“ გამოკვლეულია ჰიბრიდული ომის, როგორც გეოპოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალების, ინსტიტუციონალიზაცია-კონცეფტუალიზაციის თავისებურებები რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს, ისრაელის, იაპონიის, აგრეთვე ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისა და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების მიხედვით.

ჰიბრიდული ომის ფენომენტან დაკავშირებით თანამედროვე დასავლური ხედვის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და განგრძობადად ასრულებს სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ, აგრეთვე მსოფლიო წესრიგის შეცვლის მცდელობისკენ მიმართული, გეოპოლიტიკური მიზნებით განპირობებული რუსული ჰიბრიდული ომის სამხედრო სტრატეგია, რომლის შინაარსი იკითხება რუსეთის ფედერაციის

უსაფრთხოების პოლიტიკის თითქმის ყველა დოკუმენტში, რომელშიც რუსეთი წარმოდგენილია რა საერთაშორისო სისტემის გავლენიან მოთამაშედ, მისი შეშფოთება და ნეგატიური ტონი განპირობებულია აშშ-ის დომინირებული მდგომარეობით, მისი საზღვრის მიმდებარე რეგიონებში ანდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ნატოს გაფართოების პოლიტიკით, აგრეთვე რუსეთის იმპერიალისტური ზეგავლენების აღდგენის სურვილით.

ომის წარმოებისა და უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის მიდგომები იკითხება რუსეთის ფედერაციის 2010 და შემდგომი წლების პოლიტიკურ-სტრატეგიულ დოკუმენტებში, რომლებიც უფრო მეტად ეხება თანამედროვე კონფლიქტების მახასიათებლებს, ვიდრე უშუალოდ შეიარაღებულ ძალებს. მათში მითითებულია სამხედრო და არასამხედრო შესაძლებლობების ინტეგრირებული გამოყენების შესაძლებლობაზე, ხაზგასმულია საინფორმაციო აქტივობების და რბილი ძალის მნიშვნელობაზე, რომელიც იძლევა პოლიტიკური მიზნების მიღწევის შესაძლებლობას სამხედრო ძალების გამოყენების გარეშე ანდა ქმნის მათი გამოყენებისთვის და სამხედრო მიზნების მიღწევისთვის საჭირო პირობებს. რაც შეეხება ასიმეტრიულ მეთოდებს, ეს უკანასკნელი განხილულია უპირატესობის მიღწევის საშუალებად უსაფრთხოების არსებულ გარემოში.

ნატოს, ისევე როგორც გაერთიანებული სამეფოს და, უფრო მეტად, ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებში ჰიბრიდული ომის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი დაბალია, ხოლო მისი ნორმატიული შინაარსი ფორმირების სტადიაშია. თუმცა, ჰიბრიდული ომისადმი ნატოს და მისი წევრი ქვეყნების პოლიტიკურ-სტრატეგიულ ხედვას გადმოსცემს ნატოს გენერალური მდივნის ანგარიშები, რომლის მიხედვითაც ჰიბრიდული ომი შლის ზღვარს ომსა და მშვიდობას შორის, იგი მოიცავს სამხედრო თუ არასამხედრო, ფარულ თუ ღია ტაქტიკას, დახვეწილ კიბერშეტევებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეწოლას და მოწინააღმდეგის მოწყვლადობის გამოყენებას.

ევროკავშირის ერთობლივ ჩარჩოში წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან ჰიბრიდული თავდაცვის მოქნილი მიდგომის შემუშავების

საჭიროებაზე, რომელიც უპასუხებს ჰიბრიდული საფრთხის ბუნებიდან მომდინარე პროგრესირებად და განგრძობად გამოწვევებს.

ისრაელის შემთხვევაში, შეკავება და თავდაცვა უსაფრთხოების ძირითად პრინციპებად არის მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში არ არის ნახსენები ჰიბრიდული ომი, კონცეფციაში აღნიშნულია, რომ მოწინააღმდეგეები გადავიდნენ მოქმედების ისეთ მეთოდებზე, რომლებიც აერთიანებს რეგულარულ სამხედრო ოპერაციებს, პარტიზანულ ომს, ტერორიზმსა და რბილი ძალის კამპანიას, რაც არსობრივ თანხვედრაშია ჰიბრიდული ომის თეორიულ კონცეფტთან.

იაპონიის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ძალთა ბალანსის მონაცვლეობა, საყოველთაო ქონების წინაშე მდგარი რისკები / საფრთხეები განიხილება ეროვნული უსაფრთხოების მზარდ გამოწვევად. სტრატეგიაში არ არის აღნიშნული ჰიბრიდული ომი, არამედ მითითებულია ნაცრისფერი ზონის არსებობა რეგიონში, რომელიც განმარტებულია, როგორც არც ცალსახად მშვიდობიანი დრო და არც ტერიტორიულ სუვერენიტეტთან ანდა ეროვნული უსაფრთხოების სხვა ინტერესებთან დაკავშირებული საგანგებო ვითარება. ნაცრისფერი ზონის მთავარი სირთულეა მისი კონვენციური ომის მიჯნაზე ყოფნა.

მესამე თავში - „ჰიბრიდული ომი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევა“ გამოკვლევულია ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციის პრობლემატიკა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაში, აგრეთვე განხორციელებულია საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსული ჰიბრიდული ომის პრაქტიკული ასპექტების ანალიზი.

ჰიბრიდული ტერმინოლოგია 2013 წლიდან აქტიურად გამოიყენება ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში, 2018 წლიდან ჰიბრიდული გამოწვევებზე გაზგასმით, თუმცა მისი კონტექსტის დაკონკრეტების გარეშე, ამხვილებს ყურადღებას სამთავრობო პროგრამები.

განხორციელებული კვლევის აჩვენებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების მართვაში ჩაბმული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მმართვე-

ლობით გადაწყვეტილებებში - ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების იერარქიაში ვლინდება ჰიბრიდული ომის როგორც ინსტიტუციონალიზაციის, ისე მისი კონცეფციისადმი ერთიანი სამთავრობო მიდგომისა და ერთგვაროვანი ხედვის დეფიციტი, ზოგადად, ჰიბრიდული ომის ფენომენის კონცეფტუალიზაციის პრობლემატიკა:

- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ეროვნული დონის კონცეფტუალური დოკუმენტების იერარქიაში:

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მოქმედ კონცეფციაში - ეროვნული უსაფრთხოების ფუძემდებლურ დოკუმენტში არ განხორციელებულა ჰიბრიდული ომის, როგორც საფრთხის, კონცეფტუალიზაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანების აღმოფხვრა, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული კონცეფციაში არსებული დებულება, რომელშიც შეიძლება ამოკითხულ იქნეს ჰიბრიდული ომის არსი - რუსეთის მიერ სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების პატივისცემის უგულვებელყოფა, ასევე ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის შეცვლისა და გავლენის სფეროების პრინციპის აღდგენისკენ მიმართული მცდელობები;

- საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015-2018 წლების დოკუმენტი, რომელსაც ეფუძნება თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი 2017-2020 წწ, ვადაგასულია;

- უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიების ჯგუფიდან შესამუშავებელია სტრატეგიების (მათ შორის, საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია) უმეტესობა. გარდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიისა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გარდამავალ პერიოდში - საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის შემუშავებამდე, ქვეყანაში მოქმედებს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი 2017-2020 წწ (რომელიც ეფუძნება ვადაგასულ საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015-2018 წწ. დოკუმენტს) და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (რომელიც ეყრდნობა ვადაგასულ საქართველოს საფრთხეების

შეფასების 2013-2016 წწ. დოკუმენტს);

- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციული დოკუმენტი - საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა შესამუშავებელია;

- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის უწყებრივი დონის ორგანიზაციული დოკუმენტები 10 სამინისტროდან ნაწილობრივ შემუშავებული აქვს თავდაცვის სამინისტროს.

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი 2017–2020 შემუშავებულია საფრთხეებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ვინაიდან ქვეყანა კვლავ დგას რუსეთის შესაძლო აგრესიის წინაშე და მზად უნდა იყოს ყველა სახის, მათ შორის, ჰიბრიდულ გამოწვევასთან გასამკლავებლად. თუმცა მიმოხილვაში არაფერია ნათქვამი ჰიბრიდული ომის ტაქტიკაზე, ასევე ტექსტში აღარ არის ჩაშლილი, თუ რა იგულისხმება ჰიბრიდულ მეთოდებში. მიუხედავად ამისა, ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტი შეიცავს ჰიბრიდული ომის კონცეფტუალურ ასპექტებზე ეროვნული ხედვის გააზრებისთვის მნიშვნელოვან დებულებებს.

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის ლოკალური გარემოს ნაწილში მოხსენიებულია კრემლის მხრიდან ეკონომიკური ბერკეტებისა და რბილი ძალის ინსტრუმენტების გამოყენება ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ. გარდა ამისა, ეს ნაწილი აღწერს რუსული მცოცავი ოკუპაციის, ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების და იქ რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებიდან მომდინარე საფრთხეებს, რომლებიც ზრდიან პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის განახლების რისკს. დაგეგმვის ვარაუდებში აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების ძირითად გამოწვევად რჩება რუსეთის ფედერაციის მზაობა საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულვებელყოფით, ღია სამხედრო აგრესიის და ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით ხელყოს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტი, რასაც რუსეთი გააგრძელებს საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის დასუსტების, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებისა და მართვადი დესტაბილი-

ზაციის შექმნის მიმართულებით. კრემლი განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს რბილი ძალის ელემენტების გაძლიერებაზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება, პრორუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერება და მოახდინოს დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია. რუსეთის ფედერაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით განაგრძობს მცდელობას საქართველოს შეუზღუდოს როგორც საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერა, ისე თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისაკენ მიმართული საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები. რეგიონალური ვითარების შეფასების ნაწილში იკითხება რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი - რეგიონის ენერგორესურსებსა და მათი განაწილების სისტემებზე კონტროლის მოპოვება და შენარჩუნება.

2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია, თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სამხედრო ძალასთან ერთად, სულ უფრო აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს და ცდილობს ბიძგი მისცეს ცალკეული ქვეყნების საზოგადოების ყველა ფენაში ტრადიციულად ჩამოყალიბებული დასავლური ღირებულებების გადახედვის პროცესს.

2017-2020 წლების თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტისგან განსხვავებით, რბილი ძალის შესახებ მეტი სიცხადე შემოაქვს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022-ს, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიემართება კიბერსაფრთხეებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთის რბილი ძალის როლის ზრდაზე, რისთვისაც გამოიყენება პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ტექნოლოგიური საშუალებები. ამ მხრივ, ნიშანდობლივია კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კიბერსაფრთხეებიდან განსაკუთრებით გამოყოფს კიბერომს, კიბერტერორიზმს, კიბერსადაზვერვო საქმიანობას, კიბერსივრცის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სხვა საქმიანობას.

თავდაცვის სამინისტროს 2017-2020 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიაში მოცემულია დებულება, რაც შედარებით მეტი სიზუსტით წარმოაჩენს ჰიბრიდული ომის სტრატეგიის არსს: ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენებით ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფის შესაძლებლობა; რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკა ქვეყნის შიგნით მიმართულია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებისკენ, ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის დისკრედიტაციისა და პრორუსული და ანტიდასავლური ძალების გაძლიერებისკენ. საინფორმაციო სივრცეში მნიშვნელოვნად იზრდება პრორუსული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მოწინააღმდეგე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია-საშუალებების რიცხვი.

თავდაცვის მინისტრის 2018 და 2019 წლების დირექტივებში მკაფიოდ იკითხება ქვეყნის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული მეთოდების (განსაკუთრებით კი პროპაგანდის) გამოყენების ფაქტობრივი მოცემულობა. თუმცა დოკუმენტებში განვითარებული დებულებები არ იძლევა ჰიბრიდული ომის კონცეფციასთან დაკავშირებით უწყების ხედვის სრულყოფილად დაიდენტიფიცირების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიში არ განეკუთვნება უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების ნუსხას, სწორედ ამ ანგარიშებშია მოცემული შედარებით სრული სახელმწიფოებრივი ხედვა ჰიბრიდულ საფრთხეებთან მიმართებაში, მისი მეთოდისა და ინსტრუმენტების თვალსაზრისით: არაძალისმიერი მეთოდების - ე.წ. „რბილი ძალის“ კონცეფცია, ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, საერთაშორისო დონეზე ქვეყნის, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის შელახვა, საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის, უიმედობისა და ნიჰილიზმის გაჩენა, ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე დესტაბილიზაციის კერების შექმნა, რათა ქვეყანაში განვითარდეს დეზინტეგრაციული პროცესები და მოხდეს ქართული საზოგადოების პოლარიზაცია. ანგარიშში იკვეთება ჰიბრიდული ომის მომხმარებლის მიერ საქართველოში პროპაგანდისტული მედია-კომპანიებისა და დეზინფორმაციის კომპონენტების, კიბერო-

პერაციებისა და ცალკეული კიბერშტევეების, აგრეთვე დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების, ენერგეტიკული და ეკონომიკური რესურსების გამოყენებით პოლიტიკური მიზნების მიღწევის მცდელობა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიში იკვეთება, რომ გაფართოებულია ჰიბრიდული ომის მიმართულებების თუ ტაქტიკური ამოცანების არეალი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოიკვეთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, დესტაბილიზაციის, არეულობის ცალკეული კერების შექმნისა და საზოგადოების პოლარიზაციის მცდელობა, ეკონომიკური ექსპანსიის საფრთხე, ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობა.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი სისუსტე, რომელსაც ჰიბრიდული ომის მომხმარებელი თავის სასიკეთოდ იყენებს არის ის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ფორმულირებული ჰიბრიდული ომის ფენომენთან დაკავშირებული ერთიანი სამთავრობო ხედვა, რის გამოც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მართავა-დაგეგმვაში ჩაბმული სხვადასხვა უწყება განსხვავებულ შეფასებას აძლევს ქვეყნის წინაშე არსებულ უსაფრთხოების გარემოს, განსხვავებულად აღიქვამს ჰიბრიდული ომის კონცეფციას, მის სტრუქტურასა და განზომილებას, რომლის თანამდევნი ნეგატიური შედეგი ჰიბრიდული თავდაცვის სტრატეგიის შეუმუშავებლობაში ჰპოვებს გამოხატულებას.

ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციაში ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს ჰიბრიდული ომის რბილ ძალასთან გაიგივება, ჰიბრიდული ომის შინაარსში და სტრუქტურაში ხისტი ძალის კონტექსტის გაუთვალისწინებლობა, აგრეთვე რბილი ძალის სამხედრო სტრატეგიის ინტეგრირებულ კომპონენტად განუხილველობა, მაშინ როდესაც რუსული რბილის ძალის ოპერირება საქართველოში სცდება რბილის ძალის გამოყენების კლასიკურ შემთხვევას - იგი წარმოადგენს რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგიის აღსრულების მეთოდად / ინსტრუმენტად, რომლის სახელმწიფო დონეზე ფორმალიზება რუსეთმა უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებში

განახორციელა.

2008 წლის შემდეგ ოფიციალური რუსეთი სულ უფრო ხშირად საუბრობს საქართველოსთან ურთიერთობის ახალ ფაზაში გადასვლაზე, რითაც მოსკოვი ცდილობს მსოფლიო საზოგადოების თვალში შექმნას რუსეთის, როგორც კონსტრუქციული პარტნიორის, კეთილმეზობლური ურთიერთობის მსურველის იმიჯი, რაც სტრატეგიული მიზნების მიღწევაში რუსეთის ტაქტიკურ ამოცანად ფასდება.

საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსული რბილი ძალის კომპოზიციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საინფორმაციო ომი და მისი ფართო კონტექსტის შემადგენელი - კიბერაქტივობები, რომელიც რუსეთისთვის პოლიტიკური ძალადობის იარაღის ფუნქციას ასრულებს.

მედიის განვითარების ფონდის ანტიდასავლური პროპაგანდის კვლევის, NDI-ის დაკვეთით CRRC-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების, კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევის, თაობა გარდამავალ პერიოდში ახალგაზრდობის კვლევა 2016-ის, საქართველოში კრემლის გავლენის ზოგადი ინდექსის, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის საქმიანობის ფორმატში ჯგუფისთვის მიწოდებული 18 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შევსებული კითხვარების ანალიზით ირკვევა, რომ:

➤ რუსული საინფორმაციო ომის ძირითადი მიზანი საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენაში და ანტიდასავლური განწყობის ფორმირებაში მდგომარეობს, რომლის მისაღწევად გამოყენებულია ინფორმაციის გავრცელების ნეგატიური, ირიბ-დესტრუქციული და პოზიტიური კონსტრუქციული სტრატეგიები, აგრეთვე ისეთი ტექნიკა, როგორიცაა: Ad nauseam-ის ტექნიკა, კონსპირაციები და სიმულაციური, მცდარი დილემა, დეფლექციური წყაროს მოდელი, დროებითი წყაროები;

➤ პრორუსული რიტორიკის პოპულარიზაციით გამორჩეული

მედია საშუალებების, პოლიტიკური სუბიექტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თემატიკაში გამოიყოფა: ანტი ევროატლანტიკური გზავნილები (რომლის ძირითადი აქცენტებია: ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის დისკრედიტაცია; დასავლური ღირებულებების დაკნინება; საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების მიმართ ნეგატიური განწყობების გაღვივება; შეთქმულების თეორიების გავრცელება); იდენტობის დაკარგვის საფრთხე (თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას / პედოფილიას / გარყვნილებას; ებრძვის მართლმადიდებლობას / ეკლესიას; ებრძვის ტრადიციებს / ეროვნულ თვითმყოფადობას; მიუღებელი ღირებულებები); რუსეთის, როგორც დასავლეთის ალტერნატივად წარმოჩინება;

➤ სახელმწიფოს ევროატლანტიკური კურსისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად აღემატება პრორუსულს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შეინიშნება პროდასავლური განწყობების ცვალებადობა. თუმცა საზოგადოებრივი აზრის ალტერნატიული შესწავლა ადასტურებს პროდასავლური განწყობის უპირატესობას - ევროკავშირის / ნატოს vs რუსეთის სარგებელი: 62% - საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ევროკავშირში / ნატოში გაწევრიანებით: 23% - საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის ჩამოყალიბების სანაცვლოდ უარს იტყვის ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე; 8% - არც ერთს არ ვეთანხმები; 7% - არ ვიცი / უარი პასუხზე.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 სტრატეგიები მიხედვით, ისეთი რეალობის პირობებში, როდესაც რუსეთის ფედერაციას არ შეუცვლია საკუთარი აგრესიული პოლიტიკა კიბერსფეროში, როდესაც რუსეთმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად აამაღლა საკუთარი კიბერშეტევითი შესაძლებლობები და დახვეწა კიბერსაშუალებების გამოყენების სპეციფიკა მის მიერვე წარმოებულ ფსიქოლოგიური გავლენის ოპერაციებში, როდესაც 2008 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ქვეყნის დამოკიდებულება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რაც პოტენციური კიბერთავდასხმების შემთხვევაში, თავის მხრივ,

ზრდის მოსალოდნელი ზიანის მასშტაბებს, სტრატეგიაში ქვეყნის კიბერ-უსაფრთხოების სისტემის წინაშე არსებულ მთავარ საფრთხედ დასახელებული რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული კიბერშეტევები და კიბერსაშუალებებით ჩადენილი სხვა დანაშაულები.

საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კიბერშეტევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ, სამხედრო აგრესიის პარალელურად, კიბერსივრცეში განხორციელებული თავდასხმა, რომელიც, საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2013-2015 და 2017-2018 წლების სტრატეგიების მიხედვით, „სავსებით აკმაყოფილებს კიბერომის დეფინიციას“ მისი „მასშტაბებით, ზიანის ხარისხითა და აქტიურ საბრძოლო მოქმედებებთან მჭიდრო კოორდინაციით“.

კვლევით გამოიკვეთა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სამხედრო საბრძოლო ოპერაციები რუსეთის მხარის მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო, საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევა ჯერ კიდევ 2008 წლის 20 ივლისს დაფიქსირდა, თუმცა, ამგვარი მოქმედებების სტრატეგიული დაგეგმვა ივლისამდე დიდი ხნით ადრე უნდა დაწყებულიყო. 2008 წლის 8 აგვისტოდან უკვე ფართომასშტაბიანი ინტერნეტშეტევები განხორციელდა საქართველოს სახელისუფლებო და მედია საიტებზე, 9-10 აგვისტოდან კი სხვადასხვა მეთოდების (DoS and DDoS attacks; Defacement; ელექტრონული ფოსტის მისამართების გამოყენება სპამირებისთვის და მიზნობრივი შეტევები და სხვა) გამოყენებით განხორციელებულმა ჰაკერულმა თავდასხმებმა, რომლებიც 2008 წლის 15 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმებას ხელისმოწერის შემდეგაც გაგრძელდა, მწყობრიდან გამოიყვანა ქართული დომეინები / საიტები ანდა შეზღუდა მათი მოხმარების შესაძლებლობა, თუმცა სხვადასხვა ხარისხითა და ინტენსივობით.

საქართველოს მიმართ 2008 წელში განხორციელებული კიბერშეტევები სხვადასხვა ქვეყნებში ბაზირებული დომეინებიდან / საიტებიდან იმართებოდა / ხორციელდებოდა, რომლის უკანაც, ShadowServerის მოხსენების მიხედვით, ე.წ. „პატრიოტი ჰაკერები / ოპერატორები“ იდგნენ.

მოქმედებდნენ თუ არა ჰაკერები რუსეთის ხელისუფლების დაკვე-

თით ანდა კიბერშეტევებს ხორციელებდა თუ არა უშუალოდ რუსეთის რომელიმე სახელისუფლებო სტრუქტურა, ამათან დაკავშირებით ვერ იქნა მოძიებული ფაქტის დამდგენი საერთაშორისო საჯარო ინსტიტუციების დასკვნები, თუმცა კიბერთავდასხმის მეთოდოლოგია და მისი კონვენციურ ომთან სინქრონიზებული განხორციელება საკმარის საფუძვლად იქნა მიჩნეული რუსეთის ფედერაციის დადანაშაულებებისთვის საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ კიბერშეტევებში.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერთავდასხმების ანალიზი აჩვენებს, რომ 2008 წელს კიბეროპერაციების კომბინაციამ ჰიბრიდული თავდასხმის მეთოდიკა ახალ ხარისხში აიყვანა - კიბერსივრცეში განხორციელდა ახალი კიბერიარადის გამოცდა და მოსახლეობის მასიურად ჩართვა.

ძირითადი დასკვნები

ჰიბრიდული ომის ფენომენტთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობრივი მიდგომების კონსოლიდირებით, დადგენილია ჰიბრიდული ომის პოლიტიკურ-სტრატეგიული არსი, რომლის მიხედვითაც, ჰიბრიდული ომი ეს არის ფართომასშტაბიანი ომის ზღურბლსა და სახელმწიფოთა შორის ჩვეული მშვიდობიანი კონკურენციის დიაპაზონში მოქმედი კონფლიქტის ფორმა და მისი წარმოების სამხედრო სტრატეგია.

შემუშავებულია ჰიბრიდული ომის პოლიტიკურ-სტრატეგიული ხასიათის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა ქმნის ჰიბრიდული ომის კონცეფტუალურ ჩარჩოს:

2.1 კონკურენტულ გარემოში დომინირების მიღწევის ანდა მისი შენარჩუნების მოტივით განპირობებულმა ომის წარმოების სტრატეგიულ-დოქტრინულმა ცვლილებებმა განაპირობეს ხისტი და რბილი ძალის ურთიერთშერწყმა და ფართო განზომილებიანი პროდუქტის - ჰიბრიდული ომის წარმოშობა, რომელიც კრიტიკული გამოწვევის წინაშე აყენებს ეროვნული უსაფრთხოების ტრადიციულ აზროვნებას. თუმცა ომის ბუნება უცვლელი რჩება, მიუხედავად მისი წარმოების მეთოდოლოგიის ცვლილებისა.

2.2 ჰიბრიდული ომი ემყარება სტრატეგიულ ლოგიკას, რაც

ჰიბრიდულ ომს სძენს გეოსტრატეგიული ინსტრუმენტის კონტექსტს, რის გამოც იგი მომავალში იქნება პოლიტიკური მიზნის მიღწევის გავლენიანი ფორმა. ჰიბრიდული ომი განაგრძობს არსებობას. ჰიბრიდული მიდგომა კვლავ მიმზიდველობას შეინარჩუნებს, მანამ სანამ მისი სამიზნე სახელმწიფოების სისუსტეების გამოყენება იქნება შესაძლებელი ანდა ჰიბრიდული ომის ნეგატიური შედეგები არ შემობრუნდება თავად მისი მომხმარებელი აქტორის წინააღმდეგ;

2.3 ჰიბრიდული ომი დაფუძნებულია იდეაზე, რომელიც ჰიბრიდული ომის მომხმარებელ სახელმწიფო ანდა არასახელმწიფო აქტორს აძლევს პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებას ისე, რომ იგი არ ხდება იძულებული მიმართოს ტრადიციულ ომს;

2.4 ჰიბრიდული ომი განიხილება დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის ფორმად, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ოპერირებს ფართომასშტაბიანი ომის ზღურბლსა და სახელმწიფოთა შორის ჩვეული, მშვიდობიანი კონკურენციის დიაპაზონში;

2.5 ჰიბრიდულ ომს, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის რეალიზების სტრატეგიულ მიდგომას, ძირითადად მიმართავენ რევიზიონისტული ძალები, რომლებისთვისაც ჰიბრიდული ომი წარმოადგენს პრაგმატული პოლიტიკის მეთოდს, რომელთა გეოპოლიტიკური მიზანი - მსოფლიო წესრიგში ძალთა ბალანსის შეცვლა, შენიღბულია ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების წინა პლანზე წამოწევით;

2.6 ჰიბრიდული ომი ძირითადად მხარდაჭერილია რა რევიზიონისტული ძალების მიერ, ჩვეულებრივ, მიმართულია მისი მომხმარებლის გეოგრაფიული საზღვრის მიმდებარე სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა გეოპოლიტიკური ინტერესის ცვლადობის კვალდაკვალ არ გამოირიცხება მისი არეალის გაფართოების შესაძლებლობა;

2.7 ჰიბრიდული ომი დაფუძნებულია კონვენციური და არაკონვენციური ომის მეთოდოლოგიის წინასწარ გამიზნულ ერთობლიობაზე (აერთიანებს ორივე ელემენტებს, მაგრამ არა ყველა მათ მახასიათებელ თავისებურებას), რომელსაც ჰიბრიდული ომის მომხმარებელი კომბინირებულად

და სინქრონიზებულად, სიტუაციიდან გამომდინარე, საჭირო თანაფარდობით იყენებს სამიზნე ქვეყნის წინააღმდეგ;

2.8 არ არსებობს ჰიბრიდული ომის მეთოდებისა და ინსტრუმენტების ფიქსირებული ერთიანობა. ვინაიდან კონტექსტი მეტად სპეციფიკურია, ჰიბრიდული ომი წარმოადგენს, საჭიროებისამებრ, იძულების შეძლებისდაგვარად მეტი ან ნაკლები რაოდენობის მეთოდების / ინსტრუმენტების მულტიკომბინაციას. ჰიბრიდულ ომში ხისტ ძალასთან ერთად, როგორც სამხედრო სტრატეგიის მეთოდოლოგიის კონტექსტის ელემენტები, გამოიყენება დიპლომატია, საინფორმაციო ომი, კიბერომი, სოციალურ-ეკონომიკური თუ ენერგეტიკული ომი, აგრეთვე რბილის ძალის სხვა კომპონენტები;

2.9 ჰიბრიდული ომის ეფექტურობას, გარდა ჰიბრიდული სამიზნის სისუსტეებისა (ინსტიტუციური ნაკლოვანებები, საზოგადოების გაუცნობიერებლობით განპირობებული მისი მოწყვლადობის მაღალი ხარისხი და სხვა), არსებითად განაპირობებს სამიზნე / მსხვერპლი სახელმწიფოს მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზემოქმედების შესაძლებლობა და სტრატეგიული მოულოდნელობის ეფექტი, მისი ფარული ხასიათი (განსაკუთრებით კი საწყის ეტაპზე), რის გამოც ჰიბრიდული ომის სამიზნე ვერ ადგენს მის წინააღმდეგ ომის მიმდინარეობის ფაქტობრივ მდგომარეობას. შესაბამისად, მისი ოპერირების ადრეულ სტადიაზე უჭირს ამ საფრთხის იდენტიფიცირება და ჰიბრიდული თავდაცვის პროპორციული მექანიზმების დაპირისპირება;

2.10 ჰიბრიდულ ომს ახასიათებს კლებადი ეფექტის მკვეთრი მრუდი, რაც, იმავდროულად, ჰიბრიდული ომის მომხმარებელ აქტორს აყენებს ერთგვარი გამოწვევის წინაშე - განაახლოს / განავითაროს მისი წარმოების მეთოდები და ინსტრუმენტები.

განხორციელებული კვლევების საფუძველზე გამორკვეულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციაში არსებული ნაკლოვანების კონკრეტული შინაარსი -

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მმართველობით გადაწყვეტილებებში - ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეფტუალურ და ორგანიზაციულ დოკუმენტებში ჰიბრიდული ომის კონცეფციის სტრუქტურის აღქმადობა შედარებით ვიწროა ჰიბრიდული ომის თეორიულ მოდელთან ანდა მისი კონცეფტუალიზაციის დასავლურ მიდგომებთან შედარებით. ჰიბრიდული ომი უფრო მეტად გაიგივებულია რბილ ძალასთან, ჰიბრიდული ომის სტრუქტურიდან დისტანცირებულია ხისტი ძალის კონტექსტი, რბილი ძალა არ განიხილება სამხედრო სტრატეგიის ინტეგრირებულ კომპონენტად, მაშინ როდესაც რუსული რბილის ძალის (კონკრეტულად საინფორმაციო ომი, რომლის კონტექსტი ასევე მოიცავს კიბერომს/შეტევებს) ოპერირება საქართველოში სცდება მისი გამოყენების კლასიკურ მიზნებს - რბილი ძალა წარმოადგენს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსული ჰიბრიდული ომის სამხედრო სტრატეგიის აღსრულების მეთოდოლოგიას.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში ჰიბრიდული ომის კონცეფტუალიზაციაში არსებული ნაკლოვანების გათვალისწინებით, შემოთავაზებულია ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვის არსებული მოდელის გაუმჯობესების ხელშემწყობი რეკომენდაციები:

1. ჰიბრიდული ომის ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, ჰიბრიდული საფრთხეებისადმი მოწყვლადობის შემცირების ანდა მისი განეიტრალების მიზნით, გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს, რომ სახელმწიფომ შეიმუშაოს ეროვნული უსაფრთხოების ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება რა ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევის მიდგომას, მაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოების (მოსახლეობა და კერძო სექტორი) ჩართულობის, ურთიერთ-თანამშრომლობის ფორმას და ხარისხს;

2. საქართველოსთვის, როგორც ჰიბრიდული ომის სამიზნე / მსხვერპლი სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რომ განგრძობადად ახორციელებდეს სახელმწიფოს მოწყვლადი მხარეების (რომელსაც თავის სასიკეთოდ იყენებს ჰიბრიდული ომის მომხმარებელი) სიღრმისეულ

თვითშეფასებას, ჰიბრიდული ომის პროგრესირებადი მეთოდოლოგიის შესწავლას, აგრეთვე მასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რაც ეროვნული უსაფრთხოების მართვა-დაგეგმვაში ჩაბმულ სახელმწიფო ორგანოებს გაუადვილებთ ჰიბრიდული თავდაცვის სტრატეგიის შემუშავებას. სწორედ ამიტომ, რეკომენდირებულია ნატო-ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება და ჰიბრიდული თავდაცვის სტრატეგიის კონტექსტში სახელმწიფო შესაძლებლობების კონსოლიდირებული მექანიზმის შექმნა;

3. ჰიბრიდულ ომთან დაკავშირებით ერთიანი კონცეფტუალური მიდგომის განვითარების, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინირებული დაგეგმვისა და აღსრულების ინსტიტუციური საფუძვლის შექმნის მიზნით, სახელმწიფომ მოახდინოს ჰიბრიდულ ომთან, როგორც კომპლექსურ საფრთხესთან, დაკავშირებით ერთიან სამთავრობო მიდგომაზე დაფუძნებული ერთგვაროვანი ხედვის შემუშავება-ინსტიტუციონალიზაცია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის თითოეულ სფეროში;

4. ჰიბრიდული ომის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების განგრძობადი განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა წარმართოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ჰორიზონტში, კოორდინირებულად, გეგმიურად და უწყვეტ რეჟიმში, რისთვისაც საჭიროა საკანონმდებლო დონეზე განხორციელდეს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დავალდებულება გონივრული პერიოდულობით მოახდინონ ამგვარი დოკუმენტების განახლება ანდა არსებული დოკუმენტებისთვის განახლებული ლეგიტიმაციის მინიჭება.

დისერტაციის შესრულება - მომზადდა და დაცული იქნა დოქტორანტურაში სწავლის დებულებით გათვალისწინებული ორი თემატური სემინარი და სამი კოლოქვიუმი:

თემატური სემინარი I - „გენდერული თანასწორობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზებაში“;

თემატური სემინარი II - „საქართველოს სამხედრო ძალებზე სამოქალაქო

ლაქო დემოკრატიული კონტროლის სახელისუფლებო მექანიზმები და მათი რეალიზების პრობლემატიკა“

კოლოქვიუმი I - „საქართველოს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის ალგორითმი“;

კოლოქვიუმი II – „საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო თავდაცვის კორპორაციული მართვის სუბიექტად განსაზღვრის პრობლემატიკა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით“;

კოლოქვიუმი III – „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები“.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები - კვლევის შედეგების აპრობაცია. დისერტაციაში შემავალი თემატიკა განხილულ იქნა სამი საჯარო ლექცია და ერთი მრგვალი მაგიდა. აგრეთვე ორმხრივი შეხვედრის ფორმატში, რომელიც გაიმართა ლიეტუვას სამხედრო აკადემიაში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს ეროვნული თავდაცვის მართვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ / PhD_F_17_123 ფარგლებში.

ნაშრომში ფორმულირებული ძირითადი დებულებები ასახულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ 12 პუბლიკაციაში: მათ შორის:

1. „Understanding of Hybrid Warfare Phenomenon Theory and Policy“, ავტორი ვეფხვია გრიგალაშვილი. გამოქვეყნებულია: Proceedings of the XVII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society, Warsaw, Poland, 2019

2. „ჰიბრიდული ომის წარმოშობის თეორიული მიდგომები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ჭრილში“, ავტორები: გენადი იაშვილი, ვეფხვია გრიგალაშვილი. გამოქვეყნებულია: სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ 1(54)2020, თბილისი, საქართველო;

3. „ჰიბრიდული ომი - ნაცრისფერი ზონა მშვიდობასა და ომს შორის დეფინიციური ჩარჩო“, ავტორი ვეფხვია გრიგალაშვილი. გამოქვეყნებულია: სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ 4(53). 2019, თბილისი, საქართველო;

4. „GEORGIAN DEFENCE POLICY PLANNING MODEL: PUBLIC ADMINISTRATION AND LEGAL ASPECTS“, ავტორი ვეფხვია გრიგალაშვილი. გამოქვეყნებულია: On-line Journal Modelling the New Europe Issue No. 30 | September 2019, Romania;

5. „AN OUTLINE OF GEORGIAN DEFENCE POLICY PLANNING MODEL“, ავტორი ვეფხვია გრიგალაშვილი. გამოქვეყნებულია: International Journal of Innovative Technology and Exploring Engineering (IJITEE), New Delhi, India, 2019;

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარდგენილი იქნა 12 საერთაშორისო სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე:

1. XVII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society, Warsaw, Poland, 2019. მოხსენება - „Understanding of Hybrid Warfare Phenomenon Theory and Policy“;

2. 29th International Conference on Contemporary Issues in Science, Engineering & Management, Bangkok, Thailand, 2019. მოხსენება- „AN OUTLINE OF GEORGIAN DEFENCE POLICY PLANNING MODEL“;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები", თბილისი, საქართველო, 2019. მოხსენება - „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს როლი სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზაციაში და მისი მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები“;

4. IV International Scientific and Practical Conference "Methodology of Modern Research", Dubai, UAE, 2018. მოხსენება - „Policy Planning as Segment of National Georgian Defence Management“;

5. 20th International Conference on Judicial, Public Administration and Governance, Rome, Italy, 2018. მოხსენება - „Criteria for Good Governance in Georgian Defense Sector: Standards and Principles“;

6. II International Scientific and Practical Conference "INTERNATIONAL -TRENDS IN SCIENCE AND TECHNOLOGY", Warsaw, Poland, 2018.

მოხსენება - „Presidential Power within the Wider Concept of Governing of Georgian Defense Sector“;

7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, თბილისი, საქართველო, 2018. მოხსენება - „ლიტვის შეიარაღებული ძალების და ესტონეთის თავდაცვის ძალების სტატუსი და მათი მართვის დონეების თავისებურებები მშვიდობიანობის დროს, სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლოს თანამედროვე კონცეფციის ფარგლებში“;

8. მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ხელისუფლება და საზოგადოება", თბილისი, საქართველო, 2018. მოხსენება - "ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტები: ფორმატი და იერარქია“;

9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 86-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, საქართველო, 2018. მოხსენება - „პრეზიდენტის კომპეტენცია სახელმწიფო თავდაცვის მართვაში და მისი აღსრულების თავისებურებები“;

10. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი-4“, თბილისი, საქართველო, 2017. მოხსენება - „გენდერული თანასწორობის ასპექტები საქართველოს ეროვნული თავდაცვის ორგანიზებაში“;

11. მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ხელისუფლება და საზოგადოება", თბილისი, საქართველო, 2017. მოხსენება- „სახელმწიფოს თავდაცვის დაგეგმვის ინსტიტუციური მოდელი“;

12. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები", თბილისი, საქართველო, 2017. მოხსენება - „სტრატეგიული ვაჭრობის ეროვნული სისტემის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“.